პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 128 (19869) ხუთშაბათი, 4 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

● **ტყიბული.** (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა საწარმოო გრაფიკს სამი დღით გაუსწრო, აქ 27 აპრილს შესრულდა ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს გაეგზავნა 6600 ტონაზე მეტი სათბობი — გაცილებით მეტი, ვიდრე ამას სოციალისტური ვალდებულება ითვალისწინებდა.

—ჩვენმა შახტმა კვლავ დაიბრუნა რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის სახელი, — გვეუბნება შახტის უფროსი ბ. არაბიძე. — რიტმულად, გამართულად მუშაობს ყველა მიწისქვეშა სანგრევი, მკვეთრად შეეამცირეთ მოდღენები, განვამტკიცეთ შრომისა და სამესრულებლო დისციპლინა. შედეგიც ჩანს.

პროდუქციის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ამ მაჩვენებელმა იანვარ-მარტში 101,5 პროცენტი შეადგინა, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 4 კაპიკით შემცირდა. მარტო ამ გზით საწარმომ 5340 მანეთი მოიგო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთესი შედეგები აქვთ იმ საექსპლოატაციო უბნების კოლექტივებს, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები მ. გურეშიძე და ბ. ჩაფიძე ხელმძღვანელობენ.

● **ამბროლაური.** (საკ. კორ.). მე-10 საგზაო სარემონტო-სამშენებლო (სამმართველოს უფროსი რ. მიქაუტაძე) კოლექტივი, რომელიც ყველაფერს ღონობს სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, ფაროდ ჩაება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის შესვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საწარმომ პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, წარმატებით შეასრულა. 708 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 510 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტით. მაკეთობათა გაიაფების გზით მოგებამ 150 ათასი მანეთი შეადგინა.

კოლექტივის წარმატებას ხელი შეუწყო სამეშრულებლო დისციპლინის განმტკიცებამ და ახალი საგზაო ტექნიკის რაციონალურმა გამოყენებამ.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ექიმთა მოძრაობის წარმომადგენლებს

2 ივნისს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის VII კონგრესის წამყვან მონაწილეთა ჯგუფს. მიესალმა რა მათ, მან თქვა, რომ კონგრესი კიდევ ერთი დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ამ გავლენიანი მოძრაობის განვითარების გზაზე. თქვენ მოქმედებთ არა მარტო როგორც ექიმები. თქვენ უკვე გაქვთ დიდ პოლიტიკაში იდეების შეტანის დიდი გამოცდილება. მოკლე დროში რამდენიმე ადამიანის ინიციატივა გადაიქცა მოძრაობად, რომელშიც მონაწილეობს ათობით ქვეყნის ას ორმოცდაათი ათასზე მეტი კომპეტენტური ადამიანი. თქვენს ხმას ყურად იღებენ, ანგარიშს უწევენ, იმიტომ რომ ყველაფერს კი არ ჰკიდებთ ხელს, არამედ მთელ ყურადღებას მიაპყრობთ გადამწყვეტ მიმართულებებს. ამან შესაძლებლობა მოგცათ დროზე გაგეფრთხილებინათ კაცობრიობა მთავარი საშიშროების შესახებ. აქედან გამომდინარეობს მოძრაობის ავტორიტეტიც, რომელსაც, როგორც ეს კონგრესი მოწმობს, ელტვიან პროფკავშირები, სხვა პროფესიათა წარმომადგენლები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ. საგულისხმოა, რომ მას ესწრებოდნენ განვითარებადი სამყაროს წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის სახელით მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა დამსწრეთ და მათი სახით მთელ მოძრაობას, უსურვა მას წარმატებანი. ვიზიარებთ მოძრაობის მიზნებს და ვითვალისწინებთ ჩვენს პოლიტიკაში. ჩვენ საერთო პასუხისმგებლობა გვაკისრია კაცობრიობის წინაშე.

მ. ს. გორბაჩოვმა გაუზიარა დამსწრეთ იდეები და ჩანფიქრები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საბჭოთა საგარეო პოლიტიკას.

გადარჩენის ამოცანა, თქვა მან, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა წინააღმდეგობა, ყველა უთანხმოება და აზრთა დაუმთხვევლობა სახელმწიფოებს, სოციალურ მოძრაობებს შორის, სხვადასხვა ჯგუფის ადამიანთა ინტერესები. ეს დასკვნა უდევს საფუძვლად ახალ პოლიტიკურ აზროვნებას.

მსოფლიო ძირეულად შეიცვალა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მის წინაშე დადგა უმაგალითო პრობლემები: ბირთვული საფრთხე, ეკოლოგიური კრიზისი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი სოციალური შედეგები, კომუნიკაციისა და ინფორმაციის საშუალებათა ახალი როლი. ისინი ეხება ყველას. და ეს არის ყველგან მსოფლიოში შეშფოთებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდის წყარო. ეს ტენდენცია — მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიოს ბედის განსაზღვრაში — სულ უფრო იმძლავრებს, რადგან მსოფლიო ურთიერთდაკავშირებულია ყველა თავის ნაწილში. და ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახელმწიფო იმყოფება სხვადასხვა სოციალურ სისტემაში, არ აუქმებს ამ ურთიერთკავშირს. თავიანთი ინტერესები აქვთ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროპისა და აზიის სოციალისტურ სახელმწიფოებს, ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ინდოეთსა და ავსტრალიას, პაკისტანსა და ტანზანიას, არგენტინასა და მექსიკას, არაბულ სახელმწიფოებს, თითოეულ ქვეყანას. უნდა გავიგოთ ეს რეალობა. უნდა ვისწავლოთ რეალურ სამყაროში ცხოვრება. სხვა გზა არ არსებობს. ამას თუ არ ვაღიარებთ — ნიშნავს უარს ვეუბნებოდეთ ხალხებს თავისუფალი არჩევნის უფლებაზე. თუ კიდევაც ცდება ხალხი, მან თავადვე უნდა გამოძებნოს გამოსავალი. და არავის, არავითარ „ზესახელმწიფოს“ უფლება არა აქვს ეროდეს ამაში. დიქტატზე პოლიტიკის აგება უკვე ახლაც ჭირს. წლების მანძილზე კი იგი მთლიანად უნდა გაქრეს.

ამის გაგება ძნელად იკვალავს გზას. მაგრამ პროცესი დაიწყო, მან სამხედრო წრეებიც კი მოიცვა.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს ახალ აზროვნებას. მ. ს. გორბაჩოვმა დამსწრეთ შეახსენა ყველაზე დიდი ინიციატივები და აქციები, რომლებსაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საბჭოთა ხელმძღვანელობა ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნის, ბირთვული საშიშროების შენელების, ქმიფური იარაღის ლიკვიდაციის, ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების, სამხედრო დოქტრინებისათვის მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის მინიჭების მიზნით. ადეკვატურია თუ არა დასავლეთის რეაქცია? არა! იქ ასე ფიქრობენ: ეს სსრ კავშირის სისუსტის ნიშანი ხომ არ არისო? საქმე, იქნებ ის არის, რომ იგი ვერ უძლებს გამალებულ შეიარაღებას და კიდევ ხომ არ მოვახდინოთ ზეგავლენა: ჩვენი იმპულსების პასუხად ვერ ვხედებით რეალური პოლიტიკის იმპულსებს, პირიქით, უბრალოდ ვაწყდებით პოლიტიკანობას.

ახლა დადგა ფრიად პასუხსაგები მომენტი. ძნელი სათქმელია, კიდევ როდის გამოჩნდება ასეთი მანსი. უნდა დავამსხვროთ საშიში ტენდენცია, რომელსაც „სამხედრო პარტია“ ქმნის, არ დაუშვათ გამალებული შეიარაღების გადატანა კოსმოსში. სწორია, რომ იგი უნდა გახდეს დაახლოებისა და ურთიერთდახმარების კიდევ ერთი სფერო, და არა ადამიანებისათვის ახალი საფრთხის წყარო.

უნდა დავძლიოთ „ბირთვული შეკავების“ იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ნატოს პოლიტიკა. ჩვენ მეტად სერიოზულად გვაანალიზეთ ამ „თეორიის“ ყველა ასპექტი. როგორც ჩანს, მის მომხრეებს ვერაფერი ვერ ასწავლა ვერც ჰიროსიმამ, ვერც ჩერნობილმა, რომლის გაკვეთილებსაც უკვე ივიწყებენ. ეტყობა, ზოგ-ზოგებისათვის ეს ხელსაყრელია. მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რა არის ეს.

როცა ბირთვულ იარაღს იცავენ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა იგი დახვეწონ, და ადგენენ მისი გამოყენების პროგრამებს: ომის რომელ ეტაპზე, სახელდობრ, რომელი იარაღი, რა ამოცანებ მიზანში, რა მოცულობით და ასე შემდეგ. სურთ ადამიანები მიაჩვიონ იმის ფიქრს, რომ ეს ბუნებრივი საქმეა, თითქოს საჭირო იყოს უშიშროებისათვის. სინამდვილეში კი „ბირთვული შეკავების“ კონცეფცია ყალბი, საშიში და ღრმად **ამორალური** პოზიციაა.

უპასუხა რა თანამოსაუბრეთა მრავალ კითხვას ბირთვული იარაღის გამოცდების შესახებ, მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირი მზად არის თუნდაც ხვალ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად გამოაცხადოს მორატორიუმი. იგი დაეთანხმა პროფესორ ლაუნს იმის თაობაზე, რომ გამოცდების პრობლემა სურთ გააბუნდოვანონ კონტროლის შესახებ მსჯელობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს არც ერთი ნაბიჯი არ გადმოუდგამს ჩვენს მხარეს გამოცდების საკითხში. როგორც რეალისტები, ჩვენ დავთანხმდით ვიაროთ ნაწილ-ნაწილ, ქენევაში შევთავაზეთ გამოცდილების აკრძალვის შესახებ სრულფორმატიან მოლაპარაკებასთან ეტაპობრივი დაახლოების პროექტი. მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე ახლავე შეიძლება ყოფილიყო ორმხრივი მორატორიუმის გამოცხადება. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიღონ კანონი ერთი კილოტონით გამოცდების შეზღუდვისა და მათი რიცხვის მინიმუმამდე შემცირების შესახებ?

მაგრამ ეგრძნობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ქმნის დაბუფერს: ხელს უშლის სტატეგიული ბირთვული იარაღის შემცირებას, გამოცდების შეწყვეტას კი უკავშირებს პროგრესს მისი შემცირების საქმეში. ეს კვლავ ვაწყდებით სურვილს — რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ ბირთვული იარაღი, თუმცა ეს ეწინააღმდეგება იმას, რაზეც შეთანხმდით პრეზიდენტთან ქენეკეასა და რეიკიავიკში.

მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა ის ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მთავრობები აიძულონ იარონ უბირთვო მსოფლიოსაკენ, გამოთქვა ამ მიზნის რეალობის რწმენა. თანამოსაუბრეებს აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც აქტიურად იმოქმედებს, ხელიდან არ გაუშვებს არც ერთ შანსს, უფრო მეტიც, ყოველ ღონეს იხმარს, რათა სხვა შანსებიც გაჩნდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, თანაბარი უშიშროების საფუძველზე.

კეთილი ნების მარაგი ბევრი გვაქვს. ამის დასტურია ჩვენი წინადადებაც საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ. ათწლეულების მანძილზე ხომ არაფერი არ გაკეთებულა, რათა შემცირებულიყო ბირთვული იარაღი. ეს კი რეალური ნაბიჯი იქნება ბირთვული განიარაღების პროცესის დაწყების გზაზე, ექნება უდიდესი პრაქტიკული, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

მ. ს. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელზეც ექიმთა მოძრაობა მუშაობს. ეს არის იმის განმარტება, თუ რა კავშირი აქვს განიარაღებას განვითარებასთან, გამალებულ შეიარაღებას — ეკონომიკის ამკარა საჭიროებებთან, ამასთან არა მარტო უკვე განვითარებადს ქვეყნებში, არამედ დიდად განვითარებულ სახელმწიფოებშიც, სიღარიბის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების პრობლემებთან — ყველგან, სადაც მილიტარიზმის მოლოხი უდიდეს სახსრებს ართმევს მილიონობით ადამიანს. უნდა ვამხილოთ ისინი, ვინც ჯიბეს ისქელებს გამალებული შეიარაღებით, თანაც ამას ასაღებს ეროვნული უშიშროებისათვის „ზრუნვად“.

საუბრის დროს არაერთგზის აიღო სიტყვა პროფესორმა ლაუნმა, გამოვიდა შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა. მათ გაუზიარეს შთაბეჭდილებანი ესეს არის დამთავრებული კონგრესის შესახებ. აღნიშნეს მისი თავისებურება: იგი ყველაზე წარმომადგენლობითი და მრავალრიცხოვანი იყო, გამოარჩევდა მაღალი ინტელექტუალური დაძაბვა, პრობლემების ანალიზის სიღრმე და უმაგალითო ემოციური აღმავლობა, კონტაქტების მრავალფეროვნება, დისკუსიების შინაარსი, საქმიანი ხასიათი, დიდი პასუხისმგებლობის, გულახდილობის, ალაბმართლობისა და პოზიციათა სიცხადის ატმოსფერო. შეხვედრის მონაწილეებმა ყოველივე ეს დაუკავშირეს ქვეყანაში საჭიროობისა და გარდაქმნის ატმოსფეროს, რომელშიც კონგრესი მიმდინარეობდა.

მ. ს. გორბაჩოვმა მხურვალედ დაუჭირა მხარი პროფესორ ლაუნის მიერ გამოთქმულ აზრს: მთელი მსოფლიო ასევე პატიოსნად, გულახდილად და ღრმად რომ კამათობდეს გადარჩენის პრობლემებზე, როგორც ეს ექიმთა მოსკოვის კონგრესზე იყო, ეს პრობლემები სწრაფად გადაწყდებოდა.

მ. ს. გორბაჩოვს გადასცეს VII კონგრესის საბოლოო დოკუმენტი. გამოხატა რა მადლიერება საინტერესო აზრებისათვის, რომლებიც გამოითქვა კონგრესზე და საუბარში და რომლებსაც გაითვალისწინებენ საბჭოთა პოლიტიკაში, ნდობისა და იმისათვის, რომ წარმატებანი უსურვეს ღრმა გარდაქმნების გზაზე დამდგარ საბჭოთა ხალხს, მ. ს. გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ უმაღლესი შეფასება მისცა ექიმთა მოძრაობის საქმიანობას ამ პასუხსაგებ, გარდამტეხ დროში.

მონაწილეობდნენ: პროფესორი ბ. ლაუნი — მოძრაობის ამერიკელი თანათავმჯდომარე და ლუიზა ლაუნი; ექიმთა საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი ე. ი. ჩაზოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. ი. კუზინი, მოძრაობის საბჭოთა თანათავმჯდომარე, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი; მოძრაობის ვიცე-პრეზიდენტები: პროფესორი ლ. ეხსტედტი (შვეიცია), ი. მედოკსი (ავსტრალია), დოქტორი დონ ბეიტეი (კანადა), აკადემიკოსი სუზი ბოლანი (უნგრეთი), დოქტორი რ. ბრასკე (არგენტინა); მოძრაობის აღმასკომის მდივანი დოქტორი ჯ. პასტორე (ამერიკის შეერთებული შტატები); მოძრაობის აღმასრულებელი დირექტორი კ. ნიუჯენტი (ამერიკის შეერთებული შტატები); ამერიკის „სოციალური პასუხისმგებლობის მომხრე ექიმთა“ ორგანიზაციის პრეზიდენტი ვ. ზაიდელი; პროფესორი უ. გოტშტაინი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ლ. ა. ილინი, ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ნ. პ. ბოჩკოვი, სამედიცინო გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ა. ნ. იაკოვლევი და ა. თ. დობრინინი. (საკდესი).

სურათზე: შეხვედრისას.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

გარდაქმნის პრინციპები — პრაქტიკაში

გარდაქმნის, რესპუბლიკის პარტიული, ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გადიდების აქტუალური ამოცანების, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივების კონკრეტულ განხილვას მიეძღვნა 3 ივნისს თბილისში გამართული რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქალაქო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ვ. გ. ბილაშვილი, ა. ნ. ჭელეჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოტიტოვი, გ. დ. ბაგელაძე, გ. ა. ბეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერკეზია, ნ. ა. ჭითაია, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. ხაჯაია, ვ. მ. სირაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანაშემწე ვ. მ. ლეგოსტაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. იგი შეეხო გარდაქმნის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1987 წლის იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების მიდგომით რესპუბლიკური პარტორგანიზაციის საქმიანობის ძირითად პრობლემებს.

აღინიშნა, რომ ეკონომიკაში ფუძეცულია შემფერხებელი ფაქტორების, უწინარეს ყოვლისა გათანაბრებისა და სხვისი მოიმედობის დაძლევის, კოლექტიური თვითმმართველობისა და სამეურნეო ანგარიშის განვითარების, სოციალურ სფეროში კი განმანაწილებელი მექანიზმის სრულყოფის, შრომითი კოლექტივების შეაძლებლობათა და მშრომელთა ეკონომიკური ინიციატივის უკეთ გამოყენების კურსი. გარდაქმნა მოითხოვს პარტიული სიტყვის ავტორიტეტისა და ქმედითობის, კადრების პასუხისმგებლობის გადიდებას, მათი დემოკრატიული აზროვნების განმტკიცებას, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის სტილისა და მეთოდების ძირეულ სრულყოფას.

ინტენსიფიკაციისა და დაჩქარების ფაქტები რესპუბლიკაში მთლიანად როდია ამოქმედებული. საშუალო-საკავშიროზე გაცილებით დაბალია შრომის ნაყოფიერების დონე, ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიც არის ელექტროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში კი იგი საშუალო-საკავშირო მაჩვენებლის ნახევარსაც ვერ აღწევს.

საკმარისი არ არის შრომის დისციპლინა. პირველ კვარტალში მრეწველობაში ყოველდღიურად პირობითად არ მუშაობდა თითქმის 1500 კაცი. შარშან დადგენილი შრომითი მონაწილეობის მინიმუმი ვერ გამოიმუშავა დაახლოებით 13 ათასმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ. ძალიან გვაწუხებს ის, რომ ქრონიკულად ვერ ვასრულებთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების გეგმებს.

ადამიანმყოფილებელია საგეგმო დისციპლინა და საკმარისი არ არის თვით დაგეგმვის ხარისხი, რაც ართულებს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას. შრომის ორგანიზაციისა და ხარისხის სრულყოფის მაგისტრალურ გზად მიგვიჩნია ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის განვითარება, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, პროდუქციის სახელმწიფო მიღების განმტკიცება.

საუბეღეურად, ფორმალიზმი აქ საკმარისად არის, ამის შედეგი კი ის არის, რომ ბევრია ჩამორჩენილი საწარმო. პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის დამზადების გეგმებს თავი ვერ გაართვა თითქმის ყოველმა მეოთხე საზოგადოებრივმა შეურნეობამ, კარტოფილისას — ყოველმა მესამე მეურნეობამ. ყველა რეგიონში ხელმძღვანელები როდი იჩენენ სათანადო დაინტერესებას ოჯახური იჯარის გამოყენებით.

ანალოგიური სიტუაციაა მშენებლობაში. პრაქტიკულად არ არის სამეურნეოანგარიშიანი კოლექტივები საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ცოტაა ისინი ვაჭრობაში.

საერთოდ დაძაბულად მიმდინარეობს საწარმოთა გადაყვანა თვითთანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე. მოგების ინვარ-აპრილის გეგმა რესპუბლიკაში 84,3 პროცენტით შესრულდა. პირველ კვარტალში 88 საწარმომ მომხმარებელს დააკლო 41,7 მილიონი მანეთის პროდუქცია ხელშეკრულებების მიხედვით. ამიტომ საკრედიტო-საფინანსო ორგანოთა წინაშე დასახული ამოცანა გამოიჩინონ მეტი მომთხოვნელობა, უფრო სრულად აგონ პასუხი დაბანდებული სახსრების უკუგებისათვის.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია პროდუქციის ხარისხი. რესპუბლიკაში სახელმწიფო მიღება შემოღებულია 21 საწარმოში. ახლა ვძლევთ ბევრ სიძნელეს, რომელთა შესახებ მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ისინი უნდა გადავიტანოთო. მაგრამ სრული სტაბილურობა ჯერჯერობით არ არის.

გარდაქმნა, მომთხოვნელობისა და მოწოდებების გარდა, სჭირდება კომპეტენტური, კონსტრუქციული გადაწყვეტილებანი, თქვა შემდეგ ჯ. ი. პატიაშვილმა. ბევრი რამ არის დამოკიდებული ურთიერთობის სტილზე. ამის წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად დეტალურად განვიხილეთ, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში ენერგეტიკული პროგრამა. საკითხს ჩავწვდით ობიექტურად, შევიმუშავეთ სამინისტროსთან ერთად ერთობლივი დადგენილების პროექტი.

მსუბუქ მრეწველობაში კი, მაგალითად, ვერაფერით ვერ გავარკვიეთ, რატომ არის მთელ რიგ ქვედარგებში სიმძლავრეთა ესოდენ დაბალი დატვირთვა? საერთოდ არსებობს თუ არა ამ სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი? და თუ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო საკავშირო სამინისტრომ, რა თქმა უნდა, ვერაფერს გავხდებით.

ყველაზე სერიოზული დასკვნები გამოვიტანეთ კაპიტალურ მშენებლობაში წამატებებისა და თვალის ახვევის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებიდან. საქმეს მარტო მოვალეობა და უპასუხისმგებლობა როდი აფერხებს. შეიქმნა თვალის ახვევის მთელი მექანიზმი, რადგან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმშენის წარუფებით მრავალი წლის მანძილზე მშენებლობაში მოცულობის ზრდა არ იყო განმტკიცებული ინდუსტრიული ბაზის განვითარებით. საკავშირო სახმშენის სპეციალისტებთან ერთად გამოვიანგარიშეთ, რომ სამინისტროში არსებული სიმძლავრეები უზრუნველყოფს 480 მილიონი მანეთის საიჯარო სამუშაოთა შესრულებას წლიური გეგმის 555,3 მილიონ მანეთთან შედარებით. დღეს ისაზება და უკვე ნაწილობრივ ხორციელდება საკუთარი ბაზის განვითარების კარდინალური ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, პირველ კვარტალში ამოქმედდა წლიური პროგრამის ძირითადი ფონდების მხოლოდ 5,5 პროცენტი. ჯერ კიდევ არ არის რიტმულობა, სისტემურობა.

სუსტი დისციპლინაა ტრანსპორტზე, სადაც ვერაფერით ვერ ავამაღლეთ მგზავრთა მომსახურების კულტურა, არის ბევრი სხვადასხვა დარღვევა და გადახრა.

ვერ გვამშედებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების საკმაოდ მაღალი ინტენსიურობა. აქ რეზერვები როდია. უაღრესად საჭირო გავზარდოთ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის მოსავლიანობა, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ჩვენ ყველაზე უარესი მაჩვენებლები გვაქვს მეცხოველეობაში. წლების განმავლობაში ვერ აღწევენ საპროექტო სიმძლავრეს მეცხოველეობის კომპლექსები. ამავე დროს 150 ათასზე მეტ კომლს არა ჰყავს არავითარი პირუტყვი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მეტი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცისა და რძის დიდი თვითღირებულება. ახლა დამტკიცდა და უკვე ხორციელდება საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა.

საფუძვლიან ტექნიკურ განახლებას საჭიროებს საკონსერვო და ჩაის მრეწველობის საწარმოები. რესპუბლიკა ვერ უმარილებს იმედს ქვეყანას ჩაის მხრივ. ამასთან, პირველადი გადამუშავების ყოველი მესამე ფაბრიკა ომამდეა აშენებული. საჭიროა პლანტაციების რეკონსტრუქციაც, უნდა შეიქმნათ ჩაის წარმოების შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის საფუძველი. ამავე დროს ავდრის ტყმა დარგში მდგომარეობა ჯერჯერობით უაღრესად რთულია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე განხილვის შემდეგ მკვეთრად გაძლიერდა მუშაობა მეღვინეობის დარგის პროფილის შეცვლისათვის. მთლიანად შეწყდა საერო შემაგრებული ღვინოების გამოშვება. უალკოჰოლო პროდუქციის წარმოებისათვის გამოსაყენებელი და სარეალიზაციო ყურძნის მოცულობა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. კამომუშავებული 7 მილიონამდე დეკალიტრი ყურძნის წვენი, რომლის გამოშვებისათვის უკვე ხელახლა აღიჭურვა 28 ღვინის ქარხანა. 15 ყოფილ ხილკენკრის ღვინოების ქარხანაში დამზადებულია 100 მილიონამდე პირობითი ქილა კონსერვი. 80 ათასიდან 2,5 მილიონ დეკალიტრამდე გაიზარდა საექსპორტოდ ღვინის მიწოდება. 1987 წლის მეორე ნახევრიდან ტახეთის ღვინის ქარხანაში დაიწყება უალკოჰოლო სასმელების მასობრივი ჩამოსხმა (დაახლოებით 300 ათასი დეკალიტრი). 1990 წლისათვის სხვადასხვა სახეობის უალკოჰოლო პროდუქციის, მათ შორის ეროვნული პროდუქტების, საკვები ცილებისა და სხვა პროდუქტების წარმოება 110 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ამავე დროს რესპუბლიკაში გასაგებები კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა პროდუქციის მხოლოდ მეხუთედია გთვალისწინებული ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საკმარისი არ არის კაპიტალდაბანდებანიც.

მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის სფეროში. მარტო პირველ კვარტალში ბანკის სალაროებში არ შესულა 229 მილიონი მანეთი. სერიოზული სიძნელეები შეიქმნა ხელფასის გაცემაში. პრობლემის გადაჭრა უკავშირდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გაუმჯობესებას. ზრდის ტემპიც თითქოს გვარიანია. მაგრამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე რესპუბლიკა სამართლიანად გაკიკრიტიკეს. ჯერ კიდევ ნაკლებია დაინტერესება და ინიციატივა. მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობას არა აქვს შესაბამისი ტექნიკური ბაზა. წვრილ-წვრილი, დაქსაქსული საამქროები და უბნებია დამახასიათებელი ადგილობრივი მრეწველობისათვისაც. ნელა გარდაქმნება საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციები.

ძირეულ გარდატეხას მოითხოვს ვაჭრობის მუშაობა. ერთი მხრივ, ქსელში ჯერ კიდევ მრავლად არის აღურიცხავი პროდუქცია. მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი არ არის ბევრის რეალური დაფარვა დაახლოებით 700 მილიონი მანეთის საქონლით. არადამაკმაყოფილებელია მისი სტრუქტურა.

ზოგიერთი ხელმძღვანელი ხელფასის გაუმართლებელი ზრდით ცდილობს სოციალურ სფეროში სერიოზული ნაკლოვანებების კომპენსაციას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ბინებთან დაკავშირებით. თბილისში აღრიცხვაზე იყვანილია 60 ათასამდე ოჯახი, ახლა კი ბინებს იღებენ 1964 წლიდან რიგში მყოფნი. ხელი მოუკიდეთ სახლთმშენებლობის ბაზის განვითარებას. დამტკიცებული პროგრამა საშუალებას მოგვცემს ინდივიდუალური მშენებლობის სხვადასხვა ფორმის განვითარებასთან ერთად 2000 წლისათვის თითოეული ოჯახი უზრუნველყოთ ცალკე ბინით.

დაჩქარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია მეცნიერება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სერიოზული დამამუხრუჭებელი ფაქტორია კვლავ მეცნიერების ავტონომიზაცია, არც თუ ისე სწორი დამოკიდებულება პერიფერიული დაწესებულებებისადმი, ცენტრალური დარგობრივი ინსტიტუტების და სამინისტროების უწყებრივი ამბიციები. სწორედ ამ მიზეზით გაჭიანურდა ღარის მახგარეშის მადნების გამდიდრების დიდეფექტიანი ტექნოლოგიის დანერგვა. სამქროს მშენებლობას სჭირდება 52 მილიონამდე მანეთი. და დაახლოებით ამდენივე ახლა ყოველწლიურად ხმარდება უცხოთის ვალუტით ნედლეულის შესაყიდვას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უფრო აქტიურ და საგნობრივ გავლენას უნდა ვახდენდეთ კადრების ფსიქოლოგიასა და შეგნებაზე. მაგალითად, რესპუბლიკაში მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა შეძენილი. მაგრამ ამ სფეროში

გარდაქმნის პრინციპები — პრაქტიკაში

(გაგრძელება)

მაგრამ კიდევ ბევრ მუშაკს მოუწევს ძალოსნის გამარტივებული მიდგომა გარდაქმნისადმი. განსაკუთრებით გვაფიქრებს ფორმალიზმი სკკპ ორგანებში მოებისას. მარტო შარშან შეცდომების გამო გაირიცხა და გაყვანილია 212 პარტიის წევრობის კანდიდატი. მიმდინარეობს ამ პრაქტიკის კომპლექსური შესწავლა.

სერიოზული საკითხია ნდობა და კონტროლი. ხელმძღვანელს არ უნდა ეშინოდეს, რომ მომთხოვნელობის გაძლიერების შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შეექმნას. ყოველი გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ, კანონიერ საფუძველს, საჯაროობასა და დემოკრატიზმს. საჭიროა განვავითაროთ კადრების შემოქმედებითი სტილი და აზროვნება, გავაფართოოთ ექსპერიმენტირება. ფოთელთა გამოცდილებას, სხვა სიახლეებმა ხელი შეუწყო კადრების პროფესიულ ზრდას. ამასთანავე მომწიფდა საჭიროება გარდაიქმნას რესპუბლიკური და მრავალი ცენტრალური სამეურნეო ორგანოს ურთიერთობა. სამეურნეო საკითხებზე ცენტრალურ კომიტეტში შემოსული დოკუმენტების მოცულობა 15-20 პროცენტით გაიზარდა.

გარდაქმნის საკვანძო საკითხია ახალგაზრდობის პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური წრთობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი ინტელექტუალური პოტენციალის, ცოდნისა და კვალიფიკაციის საერთო ზრდას. ძლიერდება ყურადღება კომკავშირული კადრების შერჩევის საკითხებისადმი. საქართველოს კომკავშირის ყრილობამ წამოაყენა კატეგორიული მოთხოვნა — აღმოვფხვრათ პროტექციონიზმი კომკავშირში, დავაწინაუროთ კომკავშირულ სამუშაოზე ყველაზე ღირსეული, პატიოსანი, მცოდნე, იდეურად მოწიფული ახალგაზრდები!

გარდაქმნის ხასიათსა და ტემპს გადამწყვეტწლად განსაზღვრავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, ბიუროს წევრების, პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების პირადი პოზიცია, პირადი მაგალითი. უშუალო ატმოსფეროს შექმნა ჩვენს პატიოსნებასა და გულწრფელობაზე, პრინციპულობასა და დაინტერესებაზეა დამოკიდებული,

სამწუხაროდ, როგორც ეგრეთ წოდებულმა „უდღისწესრიგო“ პლენარულმა სხდომამ გვიჩვენა, ჯერ კიდევ ყველა ამხანაგი როდია მზად სრულად გამოავლინოს ეს თვისებები. თვითკრიტიკულად უნდა გავიმეოროთ, რომ ვერც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ვახერხებთ ყოველთვის შეემჩნათ ჭეშმარიტად დემოკრატიული, კოლეგიური და, რაც მთავარია შემტევითობის ატმოსფერო. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ გარდაქმნა გარკვეულწილად ბრძოლისა და ძალთა ეგის პროცესია.

დღეს, როგორც ჩვეულებრივ, ყურადღებას ვამახვილებთ ნაკლოვანებებზე, გადასაჭრელ პრობლემებზე, თუმცა რესპუბლიკაში საკმაოდ გვაქვს პოზიტიური ძვრებიც. საერთოდ დინამიკურად ვითარდება ეკონომიკა, აქტიურდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. გვაქვს შედეგები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ შეიძლებოდა საზიზმი პატაკის საბაბიც კი გამხდარიყო, მაგრამ ის, რომ პარტიასა და ქვეყანაში ახლა სულ სხვაგვარი გულახდილი, მომთხოვნი, საღი შეფასებებია და თვითშეფასებებით აღსავსე ატმოსფერო სუფევს, რაშიც ჩვენ ამ დღეებშიც დავიწყმუნდით, გვაძლევს მუდამ შეძახოთ, ეფიოთ და არ დავსჯერდეთ მიღწეულს. სწორედ ეს არის შემდგომი ცვლილებების საწინდარი.

ჯ. ი. პატიაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის აქტივი, კომუნისტები და მშრომელები არ დათმობენ პრინციპულ, თვითკრიტიკულ პოზიციებს, მტკიცედ განავითარებენ ახლებურ მიდგომას, რომელსაც ლენინური პარტია ამკვიდრებს.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე. მან აღნიშნა, რომ პარტიის მითითებათა პრაქტიკული რეალიზაცია გადაწყვეტწლად არის დამოკიდებული ადგილობრივი პარტიული ორგანოების აქტიურობაზე, თანამშრომლებისა და მიზანსწრაფვაზე, და შეეხო პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობას ამ მიმართულებით, აღიარა, რომ გარდაქმნის პროცესი ქალაქში საკმარისი ტემპით არ ვითარდება. აღნიშნა აზროვნებასა და მოქმედებაში პირველადი პარტორგანიზაციების ზოგიერთი მდივნის ინერტულობა, რომლებიც ზმირად მომლოდინე პოზიციას ადგანან გარდაქმნის იდეების განსახორციელებლად მიმდინარე ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი მეთაურობენ, კარგავენ მებრძოლურობას, ჩნდება ნიადაგი სხვადასხვაგვარი დარღვევებისათვის, პარტიული კონტროლის მიღმა რჩებიან სამეურნეო ხელმძღვანელები. ჯეროვანი მიზანმიმართულებით არ წარმოებს მუშაობა პარტიის შესავსებად, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდაქმნის პროცესში. აქ დემოკრატიზაციის, საჯაროობის პრინციპების დამკვიდრება დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ შეცდომები, გავაუმჯობესოთ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის თვისებრივი შემადგენლობა.

რატომ თმობს პოზიციებს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა? განა ყველაფერი იღონეს მუშებმა დარგის საქმიანობის გასაუმჯობესებლად? ამ და მთელ რიგ სხვა საკითხებს შეეხო თბილისის წინდიის საწარმოო გაერთიანების მემოტორე მკერავი ნ. ვ. პანკოვა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ არ ამოქმედებულა სრული სიმძლავრით პირადი პასუხისმგებლობის, მუშური სინდისის, ყოველივე იმის რეზერვები, რასაც დღეს ტევადი გამოთქმა — ადამიანის ფაქტორი ჰქვია. ყოველთვის როდი ითვალისწინებენ იმას, თუ რამდენად არის მომზადებული შრომითი კოლექტივი არჩევითობის პრაქტიკისათვის. ჩვენ დიდი უფლებები მოგვანიჭეს, მაგრამ ამ უფლებებს ხშირად გაუბედავად, არასაკმარისად ვიყენებთ ყოველივე ამაში საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ, რათა არსი არ გამოვაცალოთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, არ მივანიჭოთ მას ფორმალური ხასიათი.

აბაშის ექსპერიმენტი, თქვა პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ი. გუნავამ, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან ერთად დაგვეხმარა გაგვეცნობიერებინა, თუ რაოდენ საჭიროა გავაქტიურთო ადამიანის ფაქტორი, გავაძლიეროთ შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები, პასუხისმგებლობა, შევცვალოთ შრომისადმი დამოკიდებულება. ამასთანავე ჯერ კიდევ ვერ დაგვიძლევია ინერცია, საბოლოოდ ვერ უძლეგვიდია სტერეოტიპები, გულარხეინობა. პარტიის რაიკომმა ადამიანის ფაქტორის გაკქტიურების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერების ახალი, უფრო ქმედითი ფორმების ძიებისას გადაწყვეტა ახლებურად მიუდგეს ხელმძღვანელების, სამეურნეო კადრების შეფასების კრიტერიუმებს. მთავარია, მათი საქმიანობის შეფასებისას თავდაპირველად გავაანალიზოთ, თუ რა ინიციატივას იჩენენ, როგორ აქვთ დემოკრატიზმის საქმე, რა ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი ადამიანებში. ორატორმა შემოიტანა წინადადება: მთელი ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებანი, რომლებიც ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციას ხმარდება, მიღებულ იქნეს საზმიღების პრინციპით, ვინაიდან ამ პროგრამის განხორციელება საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. კაჩმაზოვმა ყურადღება მიაპყრო სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელმძღვანელობის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებს. ეს ის ბრძოლა, რომელიც ადგილობრივი საბჭოები, თქვა მან, შეეკადნენ საკავშირო და რესპუბლიკური უწყება-სამინისტროების მიერ გამოყოფილი სახსრები უწინარესად მოეხმარებინათ იმ საქმისათვის, რომ დაეძლიათ ჩამორჩენა სოციალურ სფეროში, გაეუმჯობესებინათ სამრეწველო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა და განაგება, აეცილებინათ აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტიანობა, უზრუნველეყოთ ბუნებათსარგებლობის პირობების დაცვა. მაგრამ, დასახული დაჩქარების ჯეროვანი სიღრმის მიღწევას ბევრი უკლია, ხოლო ზოგიერთ სფეროში გარდაქმნა არც კი დაწყებულა, სიახლე დიდი გაჭირვებით იკვალავს გზას. ოლქის სახალხო-სამეურნეო კომპლექსს დიდძალი, ჯერაც გამოუყენებელი რეზერვები აქვს. მთავარი ნაკლია ახლებური მიდგომის სუსტი გამოყენება სამეურნეო მართვის ორგანიზაციაში. ამიტომ გვმართებს უფრო მეტად დავნერგოთ პრაქტიკაში პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს მოვახმაროთ ადგილობრივი საბჭოებისა და დარგობრივი სამინისტროების ძალისხმევა და რესურსები სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის დაჩქარების მთავარი პრობლემების გადაჭრას. საბჭოების ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოქმედებითადაა წაყენებული ინტენსიფიკაციის ამოცანა. ეტაპობრივ ინტენსიფიკაციის დაჩქარების მთავარი პრობლემების გადაჭრას. საბჭოების ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოქმედებითადაა წაყენებული

გარდაქმნის პრინციპები — პრაქტიკაში

(დასასრული)

თანხის კონცენტრაციას, ქმნის უკმაყოფილებისა და ბოროტმოქმედების, უშრომელი შემოსავლის მიღების საფუძველს. ის ხომ ფაქტია, რომ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში მიმდინარე წლის გაზაფხულზე ფასები აღემატებოდა სახელმწიფო ფასებს: რძისა — 5-ჯერ და მეტად, კარტოფილისა 6-ჯერ — და მეტად, თავიანი და მწვანე ხახვისა — 7-ჯერ და მეტად, სტაფილოსი — 12-ჯერ და მეტად და ჭარხლისა — 16-ჯერ. ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით აზარალებს მუშთა კლასს.

მთლიანად სპეციალისტთა აღრიცხვამ მარტო შარშანდელმა მოგებამ თქვენს რესპუბლიკაში შეადგინა თითქმის 70 მილიონი მანეთი. ასეთივე სურათია საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგშიც. შარშან, ესე იგი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონის მიღებამდე, საქართველოში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ცალკეულ მოქალაქეებს ყველაზე ფრთხილი შეფასებითაც კი 80 მილიონი მანეთი გადაუხადეს.

ამასთან დაკავშირებით ღრმად უნდა შევგვნო, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებისათვის გათვალისწინებულ პარტიის გეზს საერთო არა აქვს რა კერძმესაკუთრეული მეწარმეობის პარპაშთან. ყველაფერი, რაც ჩვენთან კეთდება ამ თვალსაზრისით, კეთდება მშრომელი ადამიანების ინტერესებისათვის, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სოციალიზმის განმტკიცების ინტერესებისათვის. ეკონომიკური ცხოვრება სოციალიზმის დროს მისი ყველა ფორმით უნდა ექვემდებარებოდეს დაგეგმვას, კონტროლს, რეგულირებას. ამიტომ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს მტკიცედ უნდა ეკავთ ეკონომიკის მართვის ბერკეტები. მათი ხელიდან გაშვება უფრო იოლია, ვიდრე ხელახლა დაუფლება. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ჩვენი პარტიის აქტიური სოციალური პოლიტიკა მეჩიდროდ უკავშირდება ისეთი მძიმე სოციალური მანკიერებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, როგორიც არის ლოთობა, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. მისი მიზანია ხალხის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფეროს გაწმენდა და განახლება. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ამოცანა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არსებითად წამოაყენა პირველ დიდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში, რომელიც აპრილის პლენუმის შემდეგ მიიღო.

განვლილი ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად განხორციელდა კომპლექსური მიდგომა ლოთობის აღმოფხვრისა და ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ. ცენტრში და ადგილებზე განხორციელდა ორგანიზაციული, აღმზრდელობითი, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამედიცინო ხასიათის ერთობლივი ღონისძიებანი. მკვეთრად შემცირდა ღვინო-არყის ნაწარმის გამოშვება და გაყიდვა. საქართველომ ამ მხრივ არცთუ ურიგო მაგალითი უჩვენა ზოგიერთ სხვა რესპუბლიკასა და ოლქს. შარშან ლიქიორ-არყის ნაწარმის გამოშვება თქვენთან შემცირდა 2,5-ჯერ. ამის ნაცვლად ვაჭრობამ მიიღო მეტი ხელი, წვენი, უალკოჰოლო სასმელი, მთლიანად ქვეყანაში სპირტიანი სასმელების მოხმარება სახელმწიფო რესურსებიდან ერთ კაცზე გაანგარიშებით ორ წელიწადში თითქმის ერთიორად შემცირდა.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ამან გარკვეული სიძნელენი შეუქმნა სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ საზოგადოებამ მიიღო რეალური მოგება სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან დარგებში.

ლოთობის დაძლევისათვის ბრძოლა გადაიქცა ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრების მასობრივ მოძრაობად. გაუჭობესდა, უფრო გაიწმინდა მთელი ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო. საგრძნობლად განმტკიცდა შრომისა და ყოფის დისციპლინა. შარშან 1984 წელთან შედარებით მრეწველობასა და მშენებლობაში შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, ქვეყანაში პირველად მრავალი წლის მანძილზე შემცირდა სიკვდილიანობა, უწინარეს ყოვლისა შრომისუნარიანი ასაკის ადამიანებისა. მინდა აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულობათა შემცირებამ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები აიძულა უფრო ენერგიულად მოეკიდათ ხელი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხებისათვის, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სამსახურის განვითარებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მაგალითმა, რომელმაც მიზანდასახულად მიმართა თავის ფინანსურ შესაძლებლობათა შეზღუდვას მშრომელთა ინტერესებისათვის, ხალხის ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და ჩვენი სოციალისტური წყობილების ჰეშმარიტად ჰუმანისტური ბუნების ახალი დადასტურება გახდა.

ამასთან დრომ გამოავლინა ბევრი სიძნელეც ლოთობასთან ბრძოლაში. ზოგან ეს მუშაობა შესუსტდა, ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელისათვის ჩვეულ კამპანიურობის, ადმინისტრირების გზაზე გადავიდა. მთელ რიგ რაიონებში მიმდინარე წელს გაზაზარდა ღვინო-არყის ნაწარმის გამოშვება. ეს მოხდა საქართველოშიც, მიმდინარე წლის დამდეგს გასული წლის უკანასკნელ კვარტალთან შედარებით. ჩვენი ქალაქების ქუჩებში კვლავ გამოჩნდნენ ლოთები. ზოგიერთ ოლქში შესაბამისი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების წაყრუების პირობებში კვლავ ვრცელდება არყის შინ გამოხდა. ყოველივე ამას სწერენ ადამიანები სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. შარშან და მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე ცენტრალურ კომიტეტში მოვიდა დაახლოებით შვიდი ათასი წერილი, მათ შორის მრავალი კოლექტიური, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. და ყოველ მათგანში ერთი და იგივე მოთხოვნაა: არ დავიხიოთ, არ შევანელოთ ბრძოლის სიმწვავე, თვალი არ ავარიდოთ პარტიის მითითებათა ფორმალური შესრულების ფაქტებს.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, როგორც მოგეხსენებათ, განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ლოთობიზა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ, დასახა ამ მუშაობის გააქტიურების ღონისძიებანი. პრინციპული მნიშვნელობა აქვს გასული ორი წლის გამოცდილების საფუძველზე პოლიტბიუროს მიერ გამოტანილ დასკვნას დასახული ამოცანის რეალურობის შესახებ, რომ უნდა ამოიძირკვოს ლოთობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან. ამავე დროს ხაზგასმულია, რომ ჯერჯერობით ყველგან ვერ შეეჭიმენით ლოთობასთან ბრძოლის ფართო ფრონტი, ამ პრობლემებისაკენ ვერ შემოვაბრუნეთ ყველა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. საკითხი ახლა ასე დგას: ან გავმაგრდებით მიღწეულ დონეზე და ვივლით წინ ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრების გზით, ან საზოგადოებისათვის დამღუპველი ფესვგადგმული ჩვევები და ტრადიციები გაიმარჯვებს და საქმე უკუღმა დატრიალდება. აქ ჩვენთვის არჩევანი ერთია: ახალი ენერგიით ვიაროთ წინ. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაქმნის მთელი პროცესის შემადგენელი ნაწილია და ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს შევანელოთ იგი.

საქართველოსათვის ამ პრობლემას, შესაძლოა, არ ჰქონდეს ისეთი სიმწვავე, როგორც ზოგიერთი სხვა რეგიონისათვის. მაგრამ მაინც თქვენც არა გაქვთ გულარხეინობის საფუძველი. შარშან რესპუბლიკაში სამედიცინო გამოსაფხიზლებლებში უკვე მოხვდა 25 ათასზე მეტი კაცი, ოფიციალურად აღრიცხვაზეა აყვანილი 17 ათასი ალკოჰოლიკი. არის ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მრავალი დარღვევის ფაქტი. თქვენ აგრეთვე უნდა დაიჩქაროთ მეღვინეობის მრეწველობის საწარმოთა პროფილის შეცვლა, ყურძნის წარმოების გაფდიდებლად გაფართოოთ მისი გამოყენება საკვები მიზნით.

საზოგადოებას დიდ უბედურებად შეიძლება გადაექცეს ნარკომანია, თუ ახლავე არ გამოვუცხადეთ მას უსასტიკესი ბრძოლა. ცენტრალურმა კომიტეტმა იცის, რომ თქვენს რესპუბლიკაში ნარკომანიის პრობლემები პირველი წელი როდია, რაც რესპუბლიკური ორგანოების თვალთახედვის არეშია. მაგრამ მაინც მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ნარკომანთა რიცხვი თქვენთან 17 პროცენტით გაიზარდა.

შემაშფოთებელი ტენდენციები აღინიშნება მთლიანად ქვეყანაშიც. რეგისტრაციაში გატარებულ ნარკომანთა რიცხვი იზრდება. რა თქმა უნდა, ერთგვარად ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამართალდაცვითმა ორგანოებმა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებმა, გააძლიერეს ყურადღება ნარკომანიისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულობებისადმი, უფრო აქტიურად ავლენენ იმათ, ვინც ნარკოტიკებს ხმარობს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს განუხილავს ქვეყანაში ნარკომანიასთან ბრძოლის მდგომარეობა. 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება ეს თემა გაშუქდეს პრესაში, საზოგადოებრიობამ იცოდეს ყველაფერი. ამ ღონისძიებამ გაამართლა დანიშნულება. მოსახლეობის ყველა ფენაში უფრო მომწიფდა იმის გაგება, რომ ნარკოტიკული საშუალებების ხმარება საშიშია, რომ საჭიროა ამ უბედურებისაგან დაგიცავთ უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნარკომანიასთან ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის იმ მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა, რომელსაც ამჟამად პარტია ეწევა. შესაბამის ორგანოებს წინადადება მიეცათ დროულად გამოავლინონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ პირები, რომლებიც ამზადებენ, ასაღებენ ნარკოტიკებს და ითრევენ მოქალაქეებს მათს მოხმარებაში, აგრეთვე ძირფესვიანად აღკვეთონ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შეგროვება და გატანა. ნარკომანიის დამღუპველი მცირეა. მკვეთრად უნდა ავამაღლოთ მუშური პროფესიების პრესტიჟი, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე სამრეწველო დარგებში, რომლებსაც პერსპექტიული მნიშვნელობა აქვს.

თვალშისაცემია აგრეთვე რესპუბლიკაში ჰუმანიტარული პროფილის სპეციალისტთა აშკარა სიჭარბე. როგორღა აპირებთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მრეწველობის განვითარების საკითხების გადაწყვეტას? ამასთან თქვენთან არსებითად არ არსებობს უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების გეგმაში გაცვლა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან. არადა ეს სპეციალისტთა ერთაშორისი ურთიერთობის ფაქტორია, რომელიც დიდ როლს ასრულებს ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში.

უნდა გაფართოვდეს რესპუბლიკის და უწინარეს ყოვლისა მისი ახალგაზრდობის მონაწილეობა ქვეყნის ახალი რაიონების, კერძოდ, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ათვისებაში. ქვეყანა ძირითადად აქ იღებს ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მატებას.

ერთი სიტყვით, დეკლარაციულობა კი არა, არამედ, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, „უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი“ უნდა იყოს მუდმივად მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური ინტერესებისადმი. ჩვენი მუშაობის მთავარი განმასხვავებელი თვისება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი მიღწევაა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ენების თავისუფალი განვითარება და ამასთანავე რუსული ენის გავრცელება, რომელიც ყველა საბჭოთა ხალხმა ნებაყოფლობით აღიარა ერთაშორისი ურთიერთობის საშუალებად. საქართველოში გამოდის გაზეთები ექვს ენაზე, ჟურნალები — ოთხზე, რადიოგადაცემები მიმდინარეობს — შვიდზე, ტელეგადაცემები — სამ ენაზე. საყოველთაო-სახალხო კუთვნილება გახდა რუსულად ნათარგმნი ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები. ბოლო ხუთ წელიწადში ქვეყანაში რუსულ ენაზე გამოიცა ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების 218 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი თითქმის 14 მილიონია.

თქვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ხალხის ენობრივი კულტურის ასამაღლებლად, როგორც მშობლიური, ისე რუსული ენის სიყვარულის ჩასანერგავად. ეს კურსი კვლავაც უნდა განახორციელოთ, განახორციელოთ უფრო თანამიმდევრულად, ვინაიდან რესპუბლიკაში, როგორც გვითხრეს ჯერ კიდევ ცოტა რიღი ისეთი ადამიანი, რომელიც რუსულს თავისუფლად ვერ ფლობს. მაგრამ არ შეიძლება არც მშობლიური ენების სწავლების დონის შემცირება, მათი განვითარებისადმი ყურადღების შენელება. ეროვნულ-რუსული ორენოვნების მიზანდასახული ფორმირება იყო და არის ეროვნული ურთიერთობის სფეროში მთელი ჩვენი მუშაობის საკვანძო მიმართულება.

ყოველნაირად უნდა ვაუმჯობესებდეთ ეროვნული და რუსული ენების შესწავლისა და სწავლების ხარისხს საშუალო და უმაღლეს სკოლაში. უნდა უზრუნველყოთ რუსული და ეროვნული სკოლების ოპტიმალური თანაფარდობა სწავლების ენის არჩევანის ნებაყოფლობითობის საფუძველზე — მშობლებისა და მოსწავლეების სურვილით. მთელ მუშაობას ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის უფრო სისტემური ხასიათი უნდა მივცეთ. საჭიროა გავაძლიეროთ ხალხის ისტორიული მეხსიერების ფორმირება, წარსულის გაშუქება, კლასობრივი, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან. უნდა განვავითაროთ ერთაშორისი ურთიერთობის კულტურა, გავუღვივოთ ადამიანებს ინტერესი სხვა მოძმე ხალხების მიღწევებისადმი, პატივისცემა მათი ისტორიისადმი, პროგრესული ტრადიციების, ეროვნული გრძნობებისა და ღირსებისადმი. ჩვენს პარტიას ეროვნული პროცესების მართვის უდიდესი გამოცდილება აქვს. მას ღრმად უნდა ვსწავლობდეთ, პროპაგანდას ვუწევდეთ და ფართოდ ვიყენებდეთ.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე პირობებში კლასობრივი მოწინააღმდეგე ფარულად და აშკარად იმედოვნებს გარდაქმნის ზემოქმედებით ჩვენს საზოგადოებაში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შესუსტებას. საამისოდ გვაჩვენებენ საბჭოთა ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ცვლილებების არსის ბოროტგანზრახულ ინტერპრეტაციებს, ყოველნაირად აღვივებენ ნაციონალისტურ და რელიგიურ იდეებს, ცდილობენ დემოკრატიზმისა და საჯაროობის გაღრმავება გამოიყენონ უპასუხისმგებლო დემაგოგიის, შრომელთა ინტერესებისათვის მტრული შეხედულებების გასავრცელებლად.

დაბეჯითებით შეგვიძ ლ ი ა ვთქვათ, რომ ყველა ამგვარი იმედი სრულიად უსაფუძვლოა. როგორც ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავს, ჩვენ სოციალიზმს კი არ ვშორდებით, არამედ გარდაქმნის მეშვეობით ვავითარებთ სოციალისტური წყობილების პოტენციალს. გარდაქმნის პროცესში უნდა გავაძლიეროთ საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური წრთობა, არ დავუშვათ ჩვენს მუშაობაში იდეოლოგიური გულარხეინობა, მტკიცედ დავიცვათ ყოველგვარი თავდასხმებისაგან სოციალიზმისა და კომუნიზმის დიდი სულიერი ღირებულებები. საბჭოთა ადამიანის ძმური ინტერნაციონალური მეგობრობისა და შეკავშირების განმტკიცება ამ მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ამხანაგებო!

XXVII ყრილობის პოლიტიკური კურსის წარმატებული განხორციელების საკვანძო პირობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, მასებთან მისი კავშირურთიერთობის განმტკიცება. ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი პარტიის ავტორიტეტი, გაძლიერდა ადამიანების სურვილი შევიდნენ მის რიგებში. მთლიანად ეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის კანონზომიერი და სასიკეთო პროცესია. ამასთან ერთად იგი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პარტიული შევსების შერჩევისადმი უყურადღების სერიოზულ გაძლიერებას. ყოველი პირველადი პარტორგანიზაციის, სკკპ თითოეული წევრის ვალია იზრუნონ პარტიის რიგების სწორ მინდობისათვის. უნდა გამოვრიცხოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში შემთხვევითი, ისეთი ადამიანების შეღწევა, რომლებიც პარტიაში. შესვლას ლამობენ კარიერისტული ან კონიუნქტურული მოსაზრებებით, პოლიტიკურად ან ზნეობრივად უმწიფარნი არიან.

მაგრამ პრაქტიკაში პარტიული რიგების ფორმირებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ირღვევა ლენინური ნორმები. ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განხილა საკითხი „პარტიაში მიღებისა და პარტიის რიგების განმტკიცებისათვის ტაშკენტის საოლქო პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“. დადგინდა, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ამ პარტორგანიზაციაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაფრთხილებების მიუხედავად, ხელაღებით ხორციელდებოდა პარტიაში მიღების დაჩქარების კურსი. ამის შედეგად პარტორგანიზაციებმა თავიანთი შემადგენლობა დანაგვიანეს არასაკმარისად გამოწრთობილი, მერყევი, ის კი არა, უცხო ელემენტებითაც კი. ცნობილია, რა სავალალო შედეგები მოჰყვა ამას.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ პარტიის რიგების ზრდის დაჩქარება ხდება ზოგიერთ სხვა საოლქო პარტიულ ორგანიზაციაშიც. ზოგან მიიჩნიეს, რომ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნები ამ საკითხზე ნაკლებად მკაცრი გახდა და გაუმართლებლად გაზარდეს მიღება.

როგორც ამ დღეებში გამართულმა საბრებებმა გვიჩვენა, რესპუბლიკის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში მაინც აჩქარებენ რიგების ზრდას. ამას ვერ შეეუფიგდებთ, საქმე კი ეხება არა არითმეტიკას, არამედ სერიოზულ პოლიტიკას, რომელშიც შეცდომების დაშვების უფლება არა გვაქვს. იმაზე, თუ ვინ მოდის დღეს ლენინურ პარტიაში, დამოკიდებულია მისი აწმყო და მომავალი. ეს უნდა გავითვალისწინოთ პარტიული რიგების ფორმირებისათვის მთელ მუშაობაში.

ჩვენს დღეებში იმის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომ ადამიანი პარტიაში მიღების ღირსია, უნდა იყოს მისი დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკისადმი, დემოკრატიის გაღრმავების პროცესისადმი, პრაქტიკული მონაწილეობა მათს განხორციელებაში. ისე უნდა ვქმნათ, რომ კაცს, რომელიც ჩვენს დროში გახდა პარტიის წევრი, შეეძლოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიამაყით ამბობდეს: „პარტიაში გარდაქმნის წლებში **შევედი**“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიიპყრო იმისაც, რომ ბოლო ხანს, ბევრი პარტიული კომიტეტი კვლავ გვერდს უვლის ძირეულ პარტიულ რგოლებს, უწინარეს ყოვლისა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტი ხელმძღვანელების პერსონალურ საქმეთა განხილვისას. ამით პირდაპირ ირღვევა სკკპ წესდების მოთხოვნები. როგორც ცნობილია, წესდებით დადგენილია, რომ კომუნისტი თავისი საქციელისათვის პასუხს აგებს უწინარეს ყოვლისა პირველადი პარტორგანიზაციის წინაშე. თქვენს რესპუბლიკურ პარტორგანიზაციაში შარშან პირველადი პარტორგანიზაციების გვერდის აკლით განიხილეს კომუნისტი ხელმძღვანელების ყველა პერსონალური საქმის 29 პროცენტი. უნდა შეეზღუდოთ ეს პრაქტიკა, არ უნდა ვიმოქმედოთ პირველადი ორგანიზაციების გვერდის აკლით. ეს ხელს შეუწყობს კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, მათი აქტიურობის განვითარებას პარტიის წესდების მოთხოვნათა დაცვისათვის ბრძოლაში.

დასასრულ მინდა მოკლედ შეეგეხო კადრებთან მუშაობის საკითხებს. მათი შემადგენლობა გადამწყვეტწილად განსაზღვრავს გარდაქმნის მთელი საქმის წარმატებას. პარტიის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დიდი მუშაობის შედეგად ქვეყანაში თანამედროვე საკადრო კორპუსი შეიქმნა. ბევრი ახალი მუშაკი დაიწინაურეს ხელმძღვანელ პოსტებზე ადგილებზე და ცენტრში. ახლა ძალზე მნიშვნელოვანია ხელი მოვკიდოთ კადრების აღზრდას, მათს სწავლებას. ბოლო დროს ამას როგორღაც გადავიჩვიეთ. კადრებთან მუშაობის ლამის ერთადერთი მეთოდი გახდა მათი შეცვლა.

კადრებთან მუშაობაში უნდა ვისწავლოთ მოთმინება, ფამილიარულ მუშაოთ ადამიანისათვის ზრუნვის, მისი აღზრდის, მისგან ნამდვილი ხელმძღვანელის გამოზრდის უნარი, მივცეთ მას თავის გამოჩენის შესაძლებლობა. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი საკადრო მუშაობის წარმატებას. პარტიული კომიტეტების მუშაკებმა მეტი უნარადღება უნდა დაუთმონ ხელმძღვანელი კადრების ინსტრუქტირებას, უფრო ხშირად უნდა ვვდებოდნენ მათ. უფრო მეტად უნდა ვიყოთ ადგილებზე, საგასტროლო ბრიგადებში კი არ ჩავდიოდეთ, არამედ ვიყოთ კოლექტივში იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა საქმისათვის, რეალური დამპარების გაწევისათვის. ასეთ მოგზაურობათა დროს ხალხსაც უნდა ვასწავლიდეთ და თვითონაც ვასწავლობდეთ მისგან.

თვისებრივად უნდა გავაუმჯობესოთ კადრების პოლიტიკური, ეკონომიკური, პროფესიული სწავლების დაყენება, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, საამისოდ ფართო შესაძლებლობებს სახავს.

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ კადრების სტაბილურობის არსებითი განმტკიცების საშუალებას მოგვცემს მათი არჩევითობა, მთელი საკადრო მუშაობის საჯაროობა. არჩევითობა, კადრების რეგულარული ანგარიშგება მშრომელთა წინაშე ადამიანების უფრო გულდასმით შერჩევის, ნაკლები შეცდომის დაშვების შესაძლებლობას იძლევა. მისი მეშვეობით შეავიწროვებთ პროტექციონიზმის, ნათესაობის, პირადი ერთგულების, პირმოთნეობისა და მლიქნელობის მიხედვით კადრების შერჩევის პრაქტიკას.

პარტიაში და ქვეყანაში კარგად იციან და იწონებენ ბრძოლას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები ეწევიან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ხელს უწყობს მორალურ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებას რესპუბლიკაში. მაგრამ მეტრთამეობის, პროტექციონიზმის, უპრინციპობის რეციდივები ჯერ კიდევ გვხვდება. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სერიოზულ ნაკლოვანებებთან საკადრო მუშაობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერა ამ საქმეში უზრუნველყოფილი გაქვთ.

ჩვენი პარტია ახლა დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ზღურბლზეა. მალე გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. იგი განიხილავს ეკონომიკის მართვის თვისებრივი გარდაქმნის საკითხებს, რომლებსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. თქვენი პარტიული ორგანიზაცია ქვეყანაში ცნობილია საინტერესო ინიციატივებით მართვის დარგში. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, აბაშის გამოცდილება, აგრეთვე ქალაქ ფოთში შექმნილი ტერიტორიული დარგთშორისი საწარმოო გაერთიანება. თქვენი თაოსნობები რეალური წვლილი გახდა იმ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, რომლებსაც მომავალი პლენუმი მიიღებს. კვლავაც უნდა განვავითაროთ ინიციატივის, ნოვატორობისა და არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა სულისკვეთება.

ჩვენ მივემგზავრებით მტკიცე რწმენით, რომ თქვენს რესპუბლიკას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დაჩქარების დიდი რეზერვები აქვს. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია — მოწიფული, ავტორიტეტული, დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ორგანიზაცია — შეძლებს ჩაიყენოს ეს რეზერვები ჩვენი ხალხის, სოციალიზმის სამსახურში.

მთავარი კრიტერიუმია საბოლოო შედეგი

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის გარდაქმნის გზების, წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების კავშირის განვითარების შესახებ დაინტერესებული, საქმიანი სჯა-ბაასი, რომელიც წინა დღით გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა თათბირზე, მეორე დღეს გაგრძელდა.

3 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი ეწვია რესპუბლიკის უდიდეს საინჟინრო სასწავლებელს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, იყო სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიებში, კათედრებზე. აქ ყოველწლიურად სრულდება 10 მილიონ მანეთისაზე მეტი მოცულობის სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები, მათი დანერგვის საშუალო ეკონომიკური ეფექტი კი ერთთორად აღემატება ამ ციფრს. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს პრაქტიკულად არ სჭირდება სახელმწიფო დოტაცია, ახლო მომავალში ათობით სამეცნიერო-კვლევითს საკონსტრუქტორო ქვეგანყოფილებათს შორის სტუდენტურებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს, შეეძიტება მაკროკომპრესორებისა და კრიოგენული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი.

ი. კ. ლიგაჩოვმა დაათვალიერა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწყობილი კოლექტივის პროგრესული ნამუშევრების გამოფენა. ნამუშევართა უმრავლესობა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებანი. სტუმარს ყველაზე პერსპექტიული ნამუშევრები გააცნო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. ნ. ლოლაძემ.

თ. ნ. ლოლაძე: მაგალითად, ჩვენ ხარისხოვანი ტიტანუმის კარბიდი მივიღეთ ნარჩენებისა და ბურბუშელისაგან, რომელიც სხვადასხვა საწარმოში წარმოიშობა. ევიმეშვაეთ ტექნოლოგია, რომლის წყალობითაც მთელი ნარჩენები საქმეს ხმარდება.

ი. კ. ლიგაჩოვი: ტიტანიუმის მნიშვნელოვანი ნაწილი ბურბუშელად რჩება, გროვდება და აღარ მუშავდება, მაშინ როდესაც ეს ძვირფასი მასალა გვაკლია. თუ ამ პრობლემას ფართოდ, ნამდვილად მოჰკიდებთ ხელს, ჩვენ გამოვნახავთ შესაძლებლობას დაგიგეგმოთ მხარი და წაგახალისოთ...

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტები წარმატებით წყვეტენ სახლობო მეურნეობაში მატერიალური დანახარჯების შემცირების პრობლემას. მათ შექმნეს სწრაფსაჭრელი ინსტრუმენტის საწარმოო ბიმეტალური ნამზადების მიღების ტექნოლოგია, რომლის მეოხებითაც იზოგება ძვირადღირებული ვოლფრამის, მოლიბდენის, კობალტის დაახლოებით 70 პროცენტი, ამასთან შენარჩუნებულია ნაწარმის მაღალი ხარისხი. რუსთავში იქმნება ასეთი ნამზადების გამოსაშვები საამქრო.

თ. ნ. ლოლაძე: მაგრამ აქ ვაწყდებით გარკვეულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ჩვენზე არ არის დამოკიდებული. კერძოდ, ჩარხსაშენებელი მრეწველობის, შავი მეტალურგიის სამინისტროები, სხვა უწყებები უნდა დაგვეხმარონ მოწყობილობით.

ი. კ. ლიგაჩოვმა დაათვალიერა პრეციზიული ინსტრუმენტების ლაბორატორია. აქ მას გააცნეს ზეზუტი მიკროინსტრუმენტების დამზადების ტექნოლოგია, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ელექტრონულ მრეწველობაში. სტუდენტებმა თვითონ უჩვენეს სტუმარს ასეთი ინსტრუმენტების დამზადების პროცესი, რომელსაც ისინი ლაბორატორიული მუშაობის დროს ითვისებენ. საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, რომ უსათუოდ უნდა განამტკიცონ სასწავლო ბაზა, აღჭურვონ იგი თანამედროვე ხელსაწყოებითა და აგრეგატებით. ამ მხრივ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დიდი მუშაობა წარმოიშობა. მის შესახებ ილაპარაკა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. გ. ზედგენიძემ.

გ. გ. ზედგენიძე: რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შევიმუშავეთ თანამედროვე მართვის სისტემით აღჭურვილი სასწავლო სახარატო-საღარავი ჩარხი. იგი განკუთვნილია ოპერატორთა, პროგრამისტთა, სხვა პროფესიების სპეციალისტთა მოსამზადებლად. მცირე გაბარიტი შესაძლებლობას გვაძლევს ასეთი აგრეგატი დავაყენოთ კლასში, მასზე შეიძლება დაპროგრამდეს და დამზადდეს დეტალები მცირე მასშტაბით. მთავარია, რომ აღარ დაგჭირდება ასეთი მოწყობილობის საზღვარგარეთ შესყიდვა.

ი. კ. ლიგაჩოვი: ჩვენ სწორედ ძალზე გვაკლია ტრენაჟერები. და არა მარტო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, არამედ საწარმოებშიც. სწავლება უტრენაჟერებოდ მიმდინარეობს. დიდმნიშვნელოვან საქმეს შესდგომიხართ, განაგრძეთ იგი.

აღინიშნა, რომ

მთავარი კრიტერიუმია საბოლოო შედეგი

(დასასრული)

და გადავწყვიტოთ სოციალური საკითხები — ვაშენოთ საცხოვრებელი სახლები, სოკულტსაყოფაცხოვრებო ობიექტები, რათა მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, განვამტკიცოთ საბჭოთა მეურნეობა კადრებით. მაგრამ სად ვიშოვოთ სამშენი მასალა, სად შევიძინოთ ტექნიკა, ის კი არა, ძალით რომ გვაჩეჩებენ ხელში, არამედ ის, რომელსაც ნამდვილად შეუძლია გაგვადიდებინოს მუშაობის ეფექტიანობა? ეს, ასეთი მაგალითი: ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ უარი ვთქვით „სკ-5“ ახალი კომბაინის ყიდვაზე. იგი ვერაფრით ვერ სჯობია წინა მოდელს, არადა, თითქმის ორჯერ მეტი ღირს.

ი. კ. ლიგაჩოვი: თქვენ სწორად აღძარით ეს საკითხები. ეტყობა, ხუთწლედს რომ ვიწყებდით, ყველაფერი არ გაგვიკეთებია ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციას არ ემატება ფასი, მრეწველობისა კი იზრდება, თუმცა ამასთან ეფექტიანობა ზშირად ძველ დონეზე რჩება. ამას სერიოზულად განვიხილავთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ისე უნდა ვქნათ, რომ ტექნიკის ფასები უცვლელი დარჩეს ხუთწლედის განმავლობაში ზუსტად ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციისა. უნდა გადავწყვიტოთ საშენი მასალებითა და ა. შ. საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხიც, გადავიდეთ ტექნიკისა და მასალის ფონდირებიდან მათ თავისუფალ გაყიდვაზე. მაშინ სამეურნეო ანგარიშზე გადასული მეურნეობები შეძლებენ ახლანდელზე გაცილებით უფრო მეტი თადარიგიანობა გამოიჩინონ ყიდვისას და, რაც მთავარია შეარჩიონ ყველაზე უკეთესი. ეს მატერიალურ ფასეულობათა განაწილების პრინციპულად ახალი ფორმაა.

მეორე: თქვენი სასოფლო რაიონები სოციალურ-კულტურული მშენებლობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. თუმცა საერთოდ საქართველოს ამ საკითხთა გადაწყვეტის მიხედვით პირველი ადგილი უკავია... ოღონდ ქალაქად მშენებლობის ხარჯზე. ეს კი ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში უფრო კონკრეტულად და შეუპოვრად უნდა დაძლიოთ სოფლის სოციალურ-კულტურული განვითარების ჩამორჩენა.

დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში პარტიის გარდაბანის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. მ. ბოკერიამ.

ო. მ. ბოკერია: მოწინავე საბაზო მეურნეობებში ჩვენ საუკეთესო შედეგებს ვიღებთ. მაგრამ სხვებში — თანაბარ პირობებში — მაჩვენებლები გაკილებით უარესია. ახლა რაიონში შემუშავებულია ყველა მეურნეობის ეკონომიკის მოწინავეთა დონემდე აყვანის პროგრამა. ამისათვის სხვებთან ერთად უნდა გადაიჭრას ამ კომბინირებული საკვების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემაც, რომელსაც ჩვენ ყურადღებას ნაკლებ ვაქცევ. ჩემი აზრით, ამ დარგში შემოღებული უნდა იყოს პროდუქციის სახელმწიფო მიღება.

შეაჯამა რა შეხვედრის შედეგები, ი. კ. ლიგაჩოვმა დადებითად შეაფასა გამოცდილება, რომელიც თელავის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში შეიძინეს მეცხოველეობის გაძღოლის მოწინავე ტექნოლოგიის დასნერგვაზე, და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში იგრძნობა საქმის შესამჩნევი გამოცოცხლება ამ დარგში, ისევე როგორც მეჩაიეობაში. ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა მან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება მხოლოდ კომპლექსურად უნდა ხორციელდებოდეს. მთავარი ამოცანა ის არის, რომ ხალხმა იგრძნოს სურსათ-სანოვაგის არსებითი შემმატება. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე დიდად იქნება დამოკიდებული ის, თუ როგორ შეაფასებენ საბჭოთა ადამიანები ჩვეულებაში მიმდინარე გარდაქმნის შედეგებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა საგანგებოდ აღნიშნა პარტიული ორგანიზაციების როლი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, რომლებიც მოწოდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი აღლებური აზროვნების დამკვიდრებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებას ცხოვრების ყველა სფეროში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებას და საერთოდ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას ჩვენი საზოგადოების ცხოვრების რევოლუციურ განახლებაში.

ი. კ. ლიგაჩოვთან ერთად იყვნენ ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზიანი.**

* * *

ი. კ. ლიგაჩოვმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის — მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ძველი თბილისის რესტავრირებული ისტორიული უბანი, იყვნენ „ლაღიძის წყლების“ საფირმო მაღაზიაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გამოიკითხა, როგორ არის დაყენებული რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე, დაინტერესდა, ტურიზმის განვითარების პრობლემებით, გამოთქვა მთელი რიგი რჩევა-დარიგებანი და სურვილები.

* * *

3 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში მის გასაცილებლად მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოტეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემბრიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების სარდლობის წარმომადგენლები.

(საქინფორმი).

ლექციებს წაიკითხავენ სტუდენტები

ახლახან საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ რესპუბლიკის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან ერთად მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორი სტუდენტების კონკურსი, რომლის მიზანი იყო სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვა.

კონკურსზე, რომელშიც რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების 43 ლექტორი სტუდენტი მონაწილეობდა, მათ თეორიულ და მეთოდიკურ მომზადებასთან ერთად ყურადღება გამახვილდა ზეპირი მეტყველების კულტურაზე, იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ დაიინტერესონ და დაარწმუნონ მსმენელები.

კონკურსში გამოაცხადა გამარჯვებულნი, რომლებიც ჩაირიცხებიან რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა რიგებში და ეკავ როგორც სრულუფლებიანი ლექტორები ლექციებს წუკითხავენ რესპუბლიკის საწარმოდ-დაწესებულებათა მშრომელებს.

რ. გოდერძიშვილი,
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის განყოფილების გამგე.

ორთაბრძოლა სტიქიასთან გრძელდება

3 ივნისს დილით მძლავრი ტექნიკის საშუალებით მოხერხდა შეეკეთებინათ საქართველოს სამხედრო გზაზე ღვარცოფით მოტანილი ტალახისა და ქვის უდიდესი მასა. მაგრამ კვლავ წამოსულმა თქეშმა საშუალება არ მისცა გამოსულ ხალხს ბოლომდე მიეყვანათ საქმე — სამუშაო დროებით შეწყდა. ამავე დროს შეუსვენებლად შრომობენ სამი ვერტმფრინავის ეკიპაჟები, რომლებსაც გაჰყავთ მოსახლეობა სტიქიით დაზარალებული სოფლებიდან. მათვე ჩააქვთ იქ მედიკამენტები, პროდუქტები, პირუტყვის საკვები. სადღეღამისო ვაჭრობა დაწესებული სტიქიასთან ბრძოლის რაიონულ შტაბში. აქ მის შორიგ სხდომაზე გადაწყდა მთლიანად გახეხნონ მოსახლეობა ღვარცოფსაშიში ზონიდან.

(საქინფორმი).

ყაბარდო

საბურნირო ორგიტა

აკრობატიკა. ჯილდოების ორი კომპლექტი მოიპოვეს თბილისელმა არმიელებმა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენთა ჩემპიონატზე, რომელიც ლენინგრადში ჟამთმართა. ქალთა ჯგუფურ ვარჯიშებში ოქროს მედლებს დაეუფლნენ **ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკალათია.** ვაჟთა ოთხეულებს შორის ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს **ემზარ ბაბაშვილმა, ვაჟა არაყიშვილმა, დიმიტრი კარტოზიამ და ილია გოგორიაშვილმა.**

რბენა. უმაღლესი ლიგის გუნდებმა საკავშირო ჩემპიონატის 11-11 მატჩი გამართეს და ამით დასრულდა პირველი წრე. გათამაშების პირველ ოთხეულში არიან ქუთაისის „მშენებელი“ — 31 ქულა, კიევის „ავიატორი“ — 28, ალმა-ათის ასკ და სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 27-27. თბილისის „ლოკომოტივს“ 23 ქულა აქვს და შეეკვსე ადგილზეა. რაც შეეხება თბილისის „შევარდენს“, მას ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია. მან თერთმეტივე შეხვედრა წააგო და ბოლო, მეთორმეტე ადგილზეა. ქუთაისელთა კოლექტივის წევრები საუცხოოდ თამაშობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდის წევრებიდან სეზონის მანძილზე მსაჯებს არა თუ ვინმე გაუძღვებიათ, არამედ არც გაუფრთხილებიათ. მათს რიგებში კარგი თამაშით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სსრ კავშირის ნაკრების წევრი ნ. ძაგნიძე.

ფეხბურთი. გთავაზობთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის „ათამაშების მესამე ტური რვაე შეხვედრის შედეგებს: ცსკა-მოსკოვის „ტორპედო“ — 0:0, თბილისის „დინამო“-„გურია“ — 6:2, „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო“ — 1:0, „ნეფთჩი“-„არარატი“ — 2:0, „აირათი“-„ჟალგირისი“—0:0, მინსკის „დინამო“-„ზენიტი“ — 4:3, „დნეპრი“-„მეტალისტი“ — 0:0, „შახტიორი“-კიევის „დინამო“ — 1:0. სამ-სამი მატჩის შემდეგ ქვეჯგუფებში გუნდების სტანდარტული მდგომარეობა ასეთია: I ჯგუფი. „სპარტაკი“ — 4 ქულა, „ტორპედო“ და მოსკოვის „დინამო“ — 3-3, ცსკა — 2; II ჯგუფი. თბილისის „დინამო“ და „ნეფთჩი“ — 5-5, „გურია“ — 2, „არარატი“ —0; III ჯგუფი. მინსკის „დინამო“ — 5, „ჟალგირისი“ — 4, „ზენიტი“ — 2, „აირათი“ — 1; IV ჯგუფი. „მეტალისტი“ და „დნეპრი“ — 5-5, „შახტიორი“ — 2, კიევის „დინამო“ — 0. მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება 29 და 30 აგვისტოს.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

3 ივნისი ● საკადესი იუწყება

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

დიდი პასუხისმგებლობა ჰლანეტის მომავლისათვის

გამოხმაურება

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის შედეგები დიდ უურადღებას იპყრობს მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა მიმართულების პრესის ორგანოები გამოთქვამენ საერთო აზრს, რომ თათბირის დოკუმენტებმა საგნობრივად ასახა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განუხრელი მისწრაფება კაცობრიობის ცხოვრებიდან ომის ამოძირკვისადმი.

პრაღა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია მოძმე პარტიების თავდაცვითი კავშირის განმტკიცების გზაზე, წერს მოწინავე სტატიაში „რუდე პრავო“. თათბიერზე მიღებული დოკუმენტი „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოკტრინის შესახებ“ ითვალისწინებს ძალთა თანაფარდობის მაქსიმალურად დაბალ დონეზე შენარჩუნების, საომარი პოტენციალების თავდაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელ მინიმუმამდე შემცირების საარსებო საჭიროებას. ეს ადასტურებს სოციალისტური ქვეყნების აზრთა სრულ ერთიანობას სამხედრო და საგარეო პოლიტიკის პრინციპულ საკითხებზე.

ათენი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა კვლავ ცხადყვეს, რომ ესწრაფვიან საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას ევროპაში, აღნიშნავს „ასაჰი“. აანალიზებს რა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკეს, იაპონიის მეორე გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ წერს, რომ დასავლეთის დაუდგა დრო დაწვრილებით განიხილოს სადღეისოდ სოციალისტური სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ მშვიდობიან ინიციატივათა კომპლექსი და პასუხი გასცეს მათ. გაზეთი „მაინიჩიც“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დასავლეთის ბანაკი ჯერჯერობით დუმს.

ამანი. „პოზიტიური პოზიცია“ — ასეთი სათაური აქვს იორდანიის გაზეთ „ად-დუსთურის“ მოწინავე სტატიას. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მითითებას, თუ როგორ დიდი მნიშვნელობა ეკუთვნოდა ახლო აღმოსავლეთში ყოველისმომცველი მოწესრიგებისა და ფაერი მშვიდობის უზრუნველყოფის მიღწევისათვის საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენლის — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თანასწორუფლებიანი მონაწილეობით, — ადასტურებს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების თანამიმდევრულ პოლიტიკას ჩვენი რეგიონის პრობლემების მიმართ, ხაზს უსვამს გაზეთი.

ტოკიო. ბერლინის თათბირის მონაწილეებმა კვლავ ცხადყვეს, რომ ესწრაფვიან საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას ევროპაში, აღნიშნავს „ასაჰი“. აანალიზებს რა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკეს, იაპონიის მეორე გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ ეკონომიკის მოწინავეთა დონემდე აყვანის პროგრამა. ამისათვის სხვებთან ერთად უნდა გადაიჭრას ამ კომბინირებული საკვების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემაც, რომელსაც ჩვენ ყურადღებას ვაქცევ. ჩემი აზრით, ამ დარგში შემოღებული უნდა იყოს პროდუქციის სახელმწიფო მიღება.

შეაჯამა რა შეხვედრის შედეგები, ი. კ. ლიგაჩოვმა დადებითად შეაფასა გამოცდილება, რომელიც თელავის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში შეიძინეს მეცხოველეობის გაძღოლის მოწინავე ტექნოლოგიის დასნერგვაზე, და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში იგრძნობა საქმის შესამჩნევი გამოცოცხლება ამ დარგში, ისევე როგორც მეჩაიეობაში. ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა მან, სასოფლო-სამეურნეო

◆ სსრ კავშირ-ინდოეთი

თანამშრომლობა კოსმოსში

დელი. მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევა-ძიების სფეროში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა კარნატაკის შტატის ქალაქ ბანგალორში ხელმოწერილი სსრ კავშირის ბიდრომეტეოროლოგიისა და ბუნების გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტისა და ინდოეთის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციის თანამშრომლობის ოქმი. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდგომ ერთობლივ ექსპერიმენტებს, რომელთა მიზანია მეტეოროლოგიური რაკეტების მეშვეობით ატმოსფერულ მოვლენათა შესწავლა, ატმოსფეროს ზედა და შუა ფენების კვლევა და სხვადასხვა მეცნიერული მონაცემის შეგროვება პლანეტაზე და დედამიწის სხვადასხვა რაიონში ამინდის პირობების გლობალური მათემატიკური მოდელირებისათვის.

ამასთან ერთად ბანგალორში მოეწყო ორი ქვეყნის მეცნიერთა სემინარი, რომლის დროსაც განიხილეს კოსმოსური მეტეოროლოგიის დარგში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის შედეგები.

◆ აშშ

დისკრიმინაციული ღონისძიებანი

ვაშინგტონი. 1 ივნისიდან ძალაში შევიდა სოციალისტური ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ვაშინგტონში მყოფი წარმომადგენლებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დისკრიმინაციული ღონისძიებანი. სახელმწიფო დეპარტამენტს გადაწყვეტილების თანახმად, ამ ქვეყნების ჟურნალისტებს ამიერიდან აღარ მიეცემათ მუდმივი საშვი მის პრეს-განყოფილებაში, და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში მისვლა შეეძლებათ წინასწარი მორიგების საფუძველზე და მისი თანამშრომლების თანხლებით. ამერიკის ოფიციალურმა პირებმა ეს ღონისძიებანი „უშიშროების განმტკიცების მოსაზრებებით“ დაასაბუთეს.

ამასთან ერთად დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა გასულ კვირაში წერილები გაუგზავნეს ეკრანის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარეს, სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული კორესპონდენტთა ასოციაციის პრეზიდენტს. „სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებანი აშკარად დისკრიმინაციულად მიგვაჩნია, — ნათქვამია წერილებში. — ჩვენი საერთო აზრით, ახალი წესები მთლიანად ეწინააღმდეგება ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ჟურნალისტთა მუშაობის შემსუბუქებასა და ინფორმაციის შეგროვებაში მათთვის ხელშეწყობას. სახელმწიფო დეპარტამენტი თავის გადაწყვეტილებაში მიგვანიშნებს ჟურნალისტთა რაღაც „უღირს საქციელზე“, მაგრამ დღემდე არ წარმოუდგენია საამისოდ არავითარი საბუთი“.

სოციალისტური ქვეყნების ჟურნალისტთა მიმართ დისკრიმინაციული აქცია გამოხატავს ამერიკის გარკვეული წრეების საერთო გეზს ბაუკეტონ ვაშინგტონ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესს.

◆ საფრანგეთი

ხანძარი ლიონში

პარიზი. ძლიერი ხანძარი კვლავ ბობოქრობს ლიონის სამდინარო ნავსადგურის საწყობ-საპოხი მასალების საწყობის ტერიტორიაზე. ხანძარი დაიწყო 2 ივნისს მის შემდეგ, რაც ერთ-ერთი რეზერვუარის მახლობლად მოხდა აფეთქება, რომლის მიზეზი ჯერ არ დაუდგენიათ. ამის შემდეგ მაშინვე საცავის ტერიტორიაზე კიდევ ორი აფეთქება მოხდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მეხანძრეთა რაზმები, რომლებიც ნავსადგურში გადმოიყვანეს ლიონის ახლომდებარე ყველა დეპარტამენტიდან, ამაოდ ცდილობდნენ ცეცხლი ჩაექროთ ქაფწარმომქმნელი დანადგარების მეშვეობით. ამავე დროს ისინი ცდილობდნენ იზოლაციაში მოექციათ ცეცხლწაკიდებული რეზერვუარები, მაგრამ სალამოს საცავის ტერიტორიაზე კვლავ ორი აფეთქება მოხდა.

ხანძრის წარმოქმნის მომენტში ნავთობის კომპანია „შელის“ კუთვნილი საცავის რეზერვუარებში ათი ათას ტონამდე საწვავი იყო.

კატასტროფის ადგილზე მოვიდა გარემოს დაცვის საკითხთა მინისტრ-დელეგატი ალენ კარინიონი. მაშველთა წინასწარი მონაცემებით, ხანძრის დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა ორი კაცი, თექვსმეტი დაშავდა, საცავის მახლობელი უნების მცხოვრებნი გახიზნეს.

1966 წლის იანვარში ამ რაიონში მოხდა ანალოგიური კატასტროფა. მახლობლად მდებარე დიდ ნავთობსახდელ ქარხანაში გაჩნდა ძლიერი ხანძარი, რომლის დროს 18 კაცი დაიღუპა.

ოპოზიციური მოღვაწის აზრით

◆ პაკისტანი

ისლამაბადი. პაკისტანის მთავრობა დაინტერესებული არ არის ავღანეთის პრობლემის გადაწყვეტით და ვაშინგტონის საამებლად განზრახ ავართოებს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს. ეს განაცხადა გაზეთი „ნეიშნლისათვის“ მიცემულ ინტერვიუში პაკისტანის ოპოზიციური სახალხო პარტიის ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციის ორგანიზაციის თავმჯდომარემ აფთაბ აჰმად შერფაომ. მისი თქმით, მიმდინარე წლის იანვარში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წამოყენებული მშვიდობიანი ინიციატივების მეოხებით შეიქმნა პრობლემის მოწესრიგების ისტორიული შესაძლებლობა, მაგრამ პაკისტანის მთავრობას ამ წინადადებებზე პასუხი არ გაუცია.

ა. ა. შერფაომ აღნიშნა, რომ პაკისტანის ხელმძღვანელობის მისწრაფება, ხელთ იგდოს ამერიკის შეერთებული შტატების ავაქსის სისტემის თვითმფრინავები, პაკისტანში ამერიკის ყოფნის გაფართოებას გამოიწვევს. ამ თვითმფრინავების საბრძოლო გამოყენების დაწყებით მთელი პაკისტანი გადაიქცევა ამერიკის ბაზად, ვიანაიდან მათზე დადგმული მოწყობილობა მისცემთ საშუალებას უთვალთვალონ საბჭოთა კავშირის, ინდოეთისა და ირანის საჰაერო სივრცესა და ტერიტორიას.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, **პ/მდივნის** — 99-72-80, **საამდივნოსი** — 99-66,10, **განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების** — 99-87-61, **მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 98-22-98, **სოფლის მეურნეობის** — 99-52-46, **მრეწველობისა და ტრანსპორტის** — 98-20-84, **საბჭოთა მუშაობლობის** — 98-18-70, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 98-27-58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 99-55-01, **აღგილობრივი ინფორმაციის** — 98-16-90, **უცხოეთის ინფორმაციის** — 99-60-21, **მშრომელთა წერილების** — 99-78-24, **ილუსტრაციის** — 98-28-54, **საზოგადოებრივი მისაღების** — 98-95-68.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; **ბათუმი** — 3-41-69; **ცხინვალი** 2-22-52; **ქუთაისი** — 5-26-86; **რუსთავი** — 24-27-87; **გორი** — 2-33-10; **ახალციხე**—2-08-15; **ზუგდიდი** — 2-28-40; **მახარაძე** — 6-34-44; **ზესტაფონი** — 5-56-36; **თელავი** — 2-12-09; **წითელწყაროო** — 23-66; **ტყიბული** — 25-82; **საგურამო** — 45-32.

ჩინეთის ელჩის განცხადება

ბანგკოკი. ჩინეთის ელჩმა ტაილანდში ბ. ლიუ ბინ-ბინ ინტერვიუ მისცა ადგილობრივ ჟურნალისტებს. ელჩმა